1916/9

№ 48 —1916
კვირა, 20 გიორგ.

წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-
ბა ფოსტით: Тифлисъ, Ред „Театри да Цховреба"
Ісо. Имедашвили. პირისპირ: „სორაპანი-"ს სტამბაში

წელ. მეოთხე გამოცემისა | ფას 15

გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი
(45 სამასწავლებლო და სამწერლო მოღვაწე-
ობის გამო.—იხ. ამავე ნომერში წერილი „განათლების მოღვაწე")

შინაარსი

1, მეთაური — სად არის ძალა? 2
2, გ. ქუჩიშვილი — ცის ქვეშ . . . . "
3, ნელი — ჩინებული აზრი. . . . . "
4, დია ჩიანელი — „კასპიის ზღვის ტალღებმა
იცის!!" 3
5, sirano — (სიმღერა) . . . . "
6, სილოვანი — კრიტიკული შენიშვნები . . 6
7, კ. ძიძაძე — ნეტავი იმას 7
8, ლ. გედევანიშვილი — ბედნიერება . . "
9, გ. შინატეხელი — ნ. ბარათაშვილს . . . 8
10, ჩაქუჩი — წერილები მეგობართან . "
11, ტალღა — სასაფლაოზე 9
12, იოსებ არიმათიელი — განათლების მო-
ღვაწე . . . . "
13, ნ. ელიაშვილი ბენ — დავით იძულე-
ბული 10
14, ი.— ელი — საუკუნის თავი 12
15, ი.— ი.— გიორგი ხირსელი . . . . . . "
16, გუგული — არტუა სასწავლებელში . . . "

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოგრაფიისთვის 27

სად არის ძალა? საქმეთან შენთან გამოგაჩინოს შენ, —ბრძანებს წმინდა სახარება. ვიდრე თავი ჩვენად გვახლდა, ჩვენი სახარების სიტყვის ძალაც გვესმოდა, ჩვენს საქმიანობას ხვავი უჩანდა, ხოლო მას შემდეგ, რაც საქმეზე უმეტესს სიტყვა მივ ჩნიეთ, ჩვენს ჭაი-ჭუის ნაყოფიერი შედეგი ალარ უჩანს.

რომელიმე გაწაფული კალმოსანი ცხელ წერილს უძღვნის ქართული თეატრის აგებას, დრამ საზოგადოების მდგომარეობას, თუ სხვა საზოგადო საქმეს; ვინმე ენა-მოქნილი რიტორი ცხარე სიტყვებით კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებს უქმად მსხდომარე მოღვაწეთა უმაქნისობას და... მალე ყოველივე დავიწყებას ეძლევა.

მიზეზი?—მიზეზი ის გიხლავთ, რომ საქმეს სათავეში ხშირად ისეთი კაცი ანუ შემადგენლობა უდგას, რომელსაც ან არა სცალიან, ან მიკუთვნებული სახელი საზოგადოების სასარგებლოდ კი არ უნდა, არამედ პირად პატივ-მოყვარეობის განადიდებლად.

დღესაც კი ჩვენი ეგრედ წოდებული საზოგადოებრივი აზრი იმ ცრუმორწმუნეობით არის გარემოცული, რომ დიდ გვაროვანთა შორის ეძიებს ხსნას.

თუ ამ გზით ვიარეთ, ვერც საკუთარ ეროვნულ თეატრის აგება-გაფურჩქვნას ველირსებთ, ვერც მწერლობის დაწინაურებას.

საბედნიეროდ ჩვენი ცხოვრება დაიძრა და სარბიელზე გამოიტა დღემდე შეუჩნეველი ძალა ქვეყნის წარმატებისა,—ვაკაბ-მრეწველთა წოდება, ღებ-მ ცემის ხალხი, ნივთიერად ჩამოქვეითებული, მაგრამ ეროვნულად შეგნებული თავად-აზნაურობა, რომელიც წოდებრივი ტურფი ფაქტიურად გადაიძრო და მთელს ერს შეეგლისა, ყოველი წრის და მდგომარეობის ინტელიგენცია, გაერთიანებული მიხელე მოსამსახურენი და გლეხთა შვილები,—ა უმთავრესი ძალა, რომელმაც უნდა ამოძრაოს ჩვენი კულტურული ცხოვრების ფაქტორები: თეატრი, მწერლობა და სხვ.

თუ ეროვნული თეატრის აგება გვენატრება, მაშ ერის ნამდვილი წარმომადგენელნი მოვიწვიოთ საქმის საწარმოოდ..

ᲩᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ..

(ᲗᲣᲓᲦᲕᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲗ).

1

ტრაპეზი წმიდა ხელოვნებისა
კარგა ხანია გაუქმებულა,
გაუქმებულა და მის ნანგრევზე
ჯერ ახალი არ აღშენებულა!

2

და დღეს, უტაძროდ, უსამლოცველოდ
დაძრწიან მოგვნი და ღაღადებენ;
ერს წინ უძღვიან ჩირაღდნით ხელში
და ბნელით მიცულ გზს უნათებენ..,



ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ქართულ თეატრის შენობის უქონლობის გამო, ცხადია, ბეგრს ქართველ მამულიშვილს ესერება გული. სრულიად საქართველოს სატახტო ქალაქში, ჩვენს დიდ ქალაქ თბილისში, ეუბნებიან ქალაქის უმოყვრეს ქუჩაზე კარტალ გამოჭიმულ სასახლინა თეატრს და არტისტულ საზოგადოებისას. ვუმზერთ და შორიდან თვალები გვებრეცვის, თითქოს გვეცინება, ზოგს შურიც შეგვეპარება, რომ ჩვენ, ჩვენს საქართველოს გულში, საკუთარი შენობა არა გვაქვს და სხვისს კი, მოსულებს მჭიდროდ მოუკიდნით ფეხი.

გასაკვირველი არ არის ამ ბორობებში, თუ ბანი თეატრის მეგობარი საქართველოსა 22 ოქტომბრის ნომერში, ერთი შუსუდეთ, ფანტაზიურ წინადადებას იძლევა თეატრის აშენების შესახებ. იგი მოკრძალებით და მორიდებით გვიზიარებს თავის აზრს და, თითქოს, თითონაც არა სჯერა, რომ მისი აზრი განხორციელდება.

მერე რატომ? იმიტომ რომ თითონაც უეუმანობს. არსებითად კი სრულებითაც ძნელი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმე არ არის ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ზღვა ნელი იყო. გულჩათხრობილი ისმენდა მისი ტალღები საღამოს ზღაპარს.

მე მთლად გამიტაცა საიდუმლო ასულმა.. იგი მომჩერებოდა.. თვალები მისი თვისკენ მიწვევდა.

მე გაშტერებული მივჩერებოდი., ვერ შევნიშნე, ჩემი ნავი როგორ დაეჯახა მისას და მე ზღვის ლურჯ ტალღებში გადავეშვი.

მან ნელა იკივლა. მენავეს რ ლაცა ანიშნა.

წამი და მენავემ საჭე გამომიშვირა .

მე ნავში გავჩნდი.

— ნაპირისკენ!. დაიძახა ასულმა.

— არა მიჭისრა, მზე ცხოველია, გავშრები

— არა, გაცივდებით.

— მე მზის სხივები მალე გამაშრობს, სანამ ნაპირამდე მოვდიოდეთ, მე გავშრები, მარა შეიძლება, თქვენ არა გნებავთ თქვენს ნავში დავრჩე, მაშინ შემიძლია ჩემს ნავამდე ცურვით მივიდე,— და მოვინდომე ზღვაში გადაშვება.

— შეჩერდით!—და ვიგრძნე ორი ხელი, რომელიც ყელს შემომეხვა..

— გიჟი ყოფილხართ, განა შეიძლება ზღვის ტალღებთან აგრე ხუმრობა?! ისინი დაუნდობელნი არიან.

— როგორც თქვენისთანა ასულები.. დავუმატე: მარა მაინც იზიდავენ ადამიანს.

— ჰო, ასე იცის! ყოველივე დაუცხრომელი, ლამაზი, საიდუმლო, იზიდავს ადამიანს.

— ჰო, მართალია, აი მეც მიზიდავს საიდუმლოება თქვენი პიროვნებისა! რათ აგიფარებიათ ჩადრი?! განა ცოდო არ არის ბუნებას დაუმალოთ მშვენიერება?! აქ ზღვის სარეცელზე, არა თუ სახის დამალვა, ტანის დაფარვაც ცოდვაა.

— ისეთ მე თქვენ ხშირათ მინახვიხართ ქალაქში.. ბგარაკზე დიდხანს დარჩებით?!

— სტუმრათ ვარ, ორი დღის შემდეგ წავალ.

— ორი დღის შემდეგ!? ეგრე ჩქარა რათ?! ჩაფიქრდა!! ხელი გააქნია: საკმარისია, წამოიძახა, და თვალებში მომაშტერდა. ნავი კი ნაპირისკენ მისცურავდა.. ნელა ბუტბუტებდა ზღვა, ნელა დუდუნებდა ტალღები.

— მაჩვენეთ თქვენი სახე! ბავშვივით შევევედრე.

სევდით გადაიქნია თავი.. თვალებში მომაშტერდა.

— აი, ჩემი სახე! და დიდი შავი თვალები ცრემლით აევსო.

ნაპირს მივცურდით..

— წადი, ტანისამოსი გამოიცვალეთ და საღამოს, მთვარის შუქზე ზღვაზე გავისეირნოთ..

ხელი დამიქირა. მე დავმორჩილდი.. რაღაც დიდი საიდუმლოება იყო ამ უცნაურ ასულში, მის უცნაურ ქცევაში. მე ვიწვოდი ამ საიდუმლოებით, ვიწვოდი და ვერ მანელებდა ზღვის სიახლოვე, ვერ მანელებდა სველი ტანსაცმელი..

ფიქრებით დატვირთული შინისკენ გავსწიე და ჯადო ასული, მშვენიერი მუსულმანის გოგონა, ჩადრში ხვეული, ოცნებას არ შორდებოდა, მწვავდა, მაღნობდა.

2

— მოხვედით?! შეხედეთ, ზღვაზე როგორ ამოდის მთვარე! რა კარგია!

მივაშტერდი ზღვის ტატნობზე მორცხვად ამომავალ მთვარეს...

მორცხვად, ტიტველი ამოდიოდა კაბა ის ზღვის ტალღებიდან...

ჩავსხედით ნავში, გაისრიალა, ათამაშდა ნიჩბები.

— აი, იქ გავიდეთ, ხედავ, მთვარის ზოლში, იქ ხომ მთვარე უხვად აბნევს სხივებს, იქ გავიდეთ, ვიბანაოთ მთვარის სხივებს შორის.

— კარგი, მითხრა და ამოიოხრა.

როცა შორს გავცურდით, ნავი შევაჩერე. მივეცი ზღვის ნელ ტალღებს ნება:—ნელა ქანაობდა ჩვენი ნავი. ნელა მოსთქვამდა ზღვა. ნელა ოხრავდა ასული. მე მის ახლოს, სულ ახლოს ვიყავ. მისი ტანი მეხებოდა, მისი ხშირი სუნთქვა მახრჩობდა. ხელი დავუჭირე. იგი ჩუმად იყო. წამი, და მის თეთრ თითებს გიჟივით დავეწაფე.

იგი შეკრთა, შეტოკტმანდა ახალგაზდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მითხარი, ვინა ხარ?! წავილუღლუღე.

მან თავზე ხელი გადმისო. მე ნავში გავიშოტე და მის კალთაში თავი ჩავსდე.

— ნუ მკითხავ, განა შენთვის სულ ერთი არ არის ვინა ვარ?! მიპასუხა: მე შენი თხოვნით, არაფერს არ შევასრულებ! ჩემო, ნურაფერს მკითხავ, ნურაფერს.

— მაშ, სახე აიხადე, მე მინდა დავინახო, შენი სახე!!

— ნუ, ნუ. ალახსა ვფიცავ, მე ერთი უმშვენიერესი ასულთაგანი ვარ, ახალგაზდა. ჩემი წლოვანება ჩვიდმეტი ბაირამით განისაზღვრება; არა გჯერა?! ჰო, ვიცი, ვიცი! მე შემიძლია დაგარწმუნო. და მან აიხადა ნახევარი სახე თვალებამდე. წითელი ვარდივით ულვიოდა ტუჩები, რომელსაც გიჟივით დავეკონე, სახე კი კარგად ვერ გავარჩიე...

— გიყვარვარ? ჩავეკითხე.

— ნუ მკითხავ, ნუ მკითხავ! რაც საკითხავი არ არის. რათ გინდა გიგონო ჩემგან ის, რასაც შენი თვალით ხედავ.

განა კიდევ გინდა სიყვარულის დამტკიცება?!. და ტუჩებში მაკოცა.

და თრთოდა მისი ახალგაზდა ტანი და ირწეოდა ნავი, ზღვის ტალღებში თავისუფლად მოცურავი. მთვარე კი თავის სხივთა თიგულში გვხვევდა და ისიც სწუწნიდა ასულის ტუჩებს, ისიც ეკვროდა ახალგაზდა ტანს.

3

და ნელა ქვითინებდა ზღვის ტალღები.. წითლად ანათებდა მთვარე. ჩვენი ნავი ოდნავ ირყეოდა და მე მის გულზე მიყრდნობილი ნელა ვთრთიდი.-

— იცი, რაღაც, ტალღები ნელა ოხრავენ, ცის ტატნობი ჩრდილოეთით მოღუშული ნორდს *) გვიმზადებს! შორს გიიხმაური ტალღებმა.

— რა კარგია. წინ, წინ მივუახლოვდეთ მოცეკვარ ტალღებს!! შენ ხომ არ გეშინია ტალღების! — დამეკითხა...

ახმაურდა ლურჯი ტალღები... ნავმა თამაში იწყო...

შორიდან ქარის ზუზუნი ჩამესმა.,. მარა, მის ზუზუნს არად ვაგდებდი, ზღვის ღელვას ყურს არ ვუგდებდი...

ასულის გულის ცემა მათრობდა, ასულის ტანის სიახლოვე მწვავდა...

ასულის მწველი ტანი სულ ახლოს მდგავდა...

ტორტმანებდა ნავი, ზუზუნებდა ქარი და ასულის ხელები კისერზე ვიგრძენ.

წამი, და ჩვენ ორივემ გონი დავკარგით-

. . . . . .

გამოვერკვიე..
ჩუმად წამოჯდა იგი.

გიიზუზუნა ქარმა.., შეკრა ტალღები, დაეჯახა ჩვენს ნავს და ზხეფნი შემოგვაშხურა, თითქო ამან გამოარკვია ასული, იგი უცებ კისერზე დამეკიდა.

— ნუ, ნუ შეგხარდები, ნუ, და ქვითინი აუვარდა.

თავზე ხელი გადუსვი და გულზე მივიკარ.

— შენ, შენ, — დაიწყო მან: შემოგწირე ჩემი პირველი სიყვარული, სიხარული; შენ წაიღე ჩემი კისკისი, სიცილი, შენ რომ განახე, მას აქეთ ღიმიც ღარ მინახავს. შენ შემოგწირე ჩემი მომავალი, შენ შემოგწირე ის, რაც ჩემთვის უძვირფასესი განძი იყო: საქალწულე. და, ამით ჩემთვის ყველაფერი გათავდა.

მარა არ ვნანობ, მე უზომო ბედნიერი ვარ!! შენ შემოგწირავ იმასაც, რაც ჩემთვის კიდევ დარჩენილა უძვირფასესი და, რომელიც ჩემთვის არაფრად აღარა ღირს. შენ შემოგწირავ! — და იგი ზეზე წამოდგა: შენ შემოგწირავ ჩემს სიცოცხლესაც! — ესა სთქვა და იგი აღელვებულ ზღვას შეუერთდა. .

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო მასწავლებელო, მე ხომ შენი მოწაფე ვიყავ! ეს ღა გავიგონე და იგი ზღვის ტალღებმა შთანთქა.

მეც გადავეშვი, მარა ამოდ, იგი ვერსად ვიპოვე ..

დაძმარებული გავჩნდი ნაპირას... თვალი მოვავლე მოქვითინე ზღვას!! ცრემლები მარჩობდა... საშინელ სიძულვილს ვგრძნობდი ზღვისადმი, რომელმაც ესოდენ ნეტარებასთან, ესოდენ ტანჯვაც მარგუნა.

*) ნორდი — ჩრდილოეთის ქარი.

4

დაძმარებული მიველი სეკტემბერში გიმნაზიაში. სიდუმლო ასული ხომ წინ მედგა. ვერ ამეხსნა, თუ ვინ იყო.

ვინც იმ დღეს არ იყო, ეკითხულობდი მიზეზს არ ყოფნისას ..

როცა ერთ კლასში ვიკითხე, მიპასუხეს:

— ლეილ, ეx —ვის ასული, ბატონო მასწავლებელო, ამ ზაფხულზე ზღვაში დაირჩო!— და მოწაფე აქვითინდა.

— განა, ბატონო, არ გაგიგია. დაუშატა მეორემ...

— ლეილა, დაირჩო?—ელვასავით მეცა, როგორ, ჩემი საყვარელი მოწაფე, სიმაყე მთელი კლასისა, ვარდი მთელი სასწავლებლის; როგორ? და მივხვდი, გავიგე და მწარეთ ავქვითინდი.

და ჩემთან აქვითინდა მთელი კლასი... ისინი სტირიდენ საყვარელ მეგობარს, მე კი ვიგონებდი იმ ტრაღედიას, რომელიც ლეილას ჩემით გადახდა...

მარა, ვინ იცოდა საიდუმლო ჩემი გულისა.

არავინ!

მხოლოდ წითელმა მთვარემ და კასპიის მოდუდუნე ღუნჯმა ტალღებმა!!

წერა ჩიაურა.

***

(სიმღერა)

გინდ ცის კიდეს დამემალო,
არ მაღირსო შენი მზერა,
მაინც შენთვის საქებარად
ამ ჩანგურის ისმის ღერა!
გინდ დადუმდე, შვენიერო,
არ მასმინო ეგ ხმა ტკბილი,
მაინც გეტყვი: ლვთაება ხარ,
თვით ზეციდან მოვლენილი.
გინდ სიზმრათაც არ ვიხილო
ეგ თვალები, ან ეგ სახე,
— არ ვინაღვლი: ამ გულში ხარ,
რა კი ერთხელ დაგინახე!..

Sirano

კრიტიკული შეცთომები

IV

აკაკი და ილია.

როდა აკაკის და ილიას ჭოეტურ ნიჭს ერთმანეთს ადარებენ, ფიქრობენ და ამბობენ ხოდმე, რომ აკაკის ბუნებრივი ნაწი აქვს მაკ სნობისა, ხოდო ილიას —არაბუნებრივი, ხელოვნურია, აკაკი თავისუფალი, ბუნებრივად ქმნის ხოდმე ჭოეტურ ჭანკვებს, ხოდო ილია—ხელოვნურად, შრომითა და ოფლითა...

უსაფუძვლოა ამგვარი მსჯელობა. თუ მგოსანს ბუნებრივი, ბუნებით დაუფლებული ჭოეტური ნაწი არ აქვს, ის ვერავითარს გრძნობიერს, ვერავითარს კუდოსგმირეს ჭანკს ვერ შექმნის, რამდენიც უნდა იტაკუოს და ოფლი დაარეოს, და თუ ჭოეტური ნიჭი აქვს, მისი ნიჭის დირსებას ამით კი არ უნდა გზომავდეთ და გაფასებდეთ, თუ რამდენით დაუფლებულია, სიჩქარითა და სასწრაფოთ აწყობს იგი რითმებს, თხზავს ლექსებს და ჭოეშებს; არამედ ამით, თუ რაგვარი გრძნობიერებით და რაგვარი სომშეენიერით ქარგავს და კვლობს იგი ჭოეტურ ჭანკვებს.

ორგვარია შემოქმედების ბუნება და ხასიათი: ზოგი მგოსანი უცებ ადტუანდება, უცებ იფეთქებს ხოდმე და უცებვე კვლაქვს ქვაფდაზე თვისი ფიქრები და გრძნობები—და მერე უკანაკ ადარ მოხუდაგს, დაწერადის შესწორებისა და შეადარაზების სურვიდიც ადარ აქვს: ასეთია ილია აკაკი. ზოგიერთი მგოსანი კი დადხანს ატარებს ფიქრსა და ბუნებაში ერთხედგე აჩემებულ სიკანს—და მხოდოდ შემდეგ დაჯდება „წერად ანდერძისა“, და რაც სწერს, მაშინაც კი ძალიან ოფლებობს, ძალიან გრძნობს, დაწერიდან ხშირად უკან უბრუნდება, რაც არ მოსწონს—ასწორებს ხოდმე.. „ასჯერ კაზმავს და ერთხელ კვლასწრისა“: ასეთია ილია.

და თქვენ გეგონათ, რომ ილია, რაგვარ მგოსანი, სტოდაგდა „ბუნებრიობის“ წინაშე სრუდიადაც არა! ბუნებრიობა ჭოეტურ გრძნობიერობაშია და არა ჭოეტურ სიტყვიერებაში. „გრძნობიერობა“—ეი უმთავრესი საფუძველი ჭოეზიისა, და ამ მხრით ხომ ილიას გრძნობა ბევრად უფრო დრმაა, ვიდრე აკაკისა. ილიას ნა- გრძნობი და ნაწერი—ორთის თქმისა არ იყოს-კა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვინცა ისმინოს, დაესვას დასაყარი, გულსა სუულ!“ ადიის ნაწერებში მრავალი გრძნობიერი მასალაა ეროტიკული ადგილი, რომელიც გულის სიღრმესა სწვდება და გრძნობის ნაწილებით მოულ სხეულს ერუნტულად ედება ხოლმე. ავაკის ჭინკები დამაზი და სუბუქია, მაგრამ გულის ამ სიღრმემდი ვერ ჩადის და ისე მძაფრად ვერ ტოკავს გულსა, როგორც ადიისი.

ეს შესაფერად მიმაჩნია გავაესენო მეოთ ხელის ჩემი აზრი ადიის და ავაკის სტილის შესახებ: “ადიის ენა-სტილი მძიმეა—როგორც ქვა, მაგრამ—როგორც ტანი, კაბაშორავი—როგორც ტუვაა; ავაკის სტილი სუბუქია—როგორც ფრუფალი, ფრუფალი—როგორც მინა, სრიალა—როგორც ბრილი. პირველის სტილი მეტაფორა არეულია გულსა და ტანებს და ზეცებს; მეორის სტილი ტანებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ბარათაშვილს *)

ოდეს სამშობლოს ლაჟვარდ ცაზედა
ნელ-ნელ ჰქრებოდა მზე სხივსანი,—
ოცნებით იყო გატაცებული
მთაწმინდის მთაზე ერის მგოსანი.
გადმოჰყურებდა მშვენიერ მინდვრებს,
ედემის მსგავსად აყვავებულსა;
მის სილამაზე, სიტურფე-სინაზე
ნათელსა ჰფენდა მის უკვდავ სულსა.
ის მაინც სწუხდა, სწვიმდა და ჰქუხდა,
გულ-დათალხული ადარ მზეობდა,
ობლად შთენილსა, ღრმად მოწყენილსა,
ფიქრთა ქარვანი შემოხვეოდა.
იგი განსჭვრეტდა—შავ ღრუბლებს ჰხედდა,
სევდით მოცული, დაღონებული,
ჰხედავდა, რომ ცას მთლად აბნელებდა
პირ-სისხლიანი ბოროტი სული,
აქლერდა სიმებს, უძახდა გმირებს...
სატრფოს შაშველად არვინ ჩნდებოდა;
ციური სული, სატრფოს ერთგული,
გამცემელთ შორის იჯდა იტანჯებოდა;
კაეშნიანი, შუბლ-დაღიანი
მტკვრისა ნაპირას იარებოდა;
მნათობ მთვარესა, მონარნარესა,
სამსობლოს სხნასა ევაჯებოდა.
მაგრამ ყორანი, შავი ფრთოვანი,
თავს დასჩხაოდა მგოსანს, ვერანი.
წასასვლელადა, შორს სავლელადა
სწრაფლად მოკაზმა მარდი მერანი.
ერს ჩამოშორდა, კერას განშორდა,
სახლში როს ნახა უცხო, ეული;
რომ არა ეწამნათ, არ გაეწამნათ
შორს მიასვენა თვისი სხეული.
მის წმინდა სული, ზეცას ასული,
თავს დაგვტრიალებს ვით მზე მშუქარედ,
როს ჩვენში ხედავს არარაობას,
ჩვენთვის ტანჯული ქვითინებს მწარედ...
მიტომაც დღესა—მესხე წელსა,
ცრემლით ვასველებთ ჩაფერფლილ ძვლებსა:—
ჩვენ შრომის შვილნი, ტანჯვით აღზრდილნი,
ამაყად ვებრძვით მის მჩაგვრელ მტრებსა!..

გ. შინატეხელი

*) ეს ლექსი გასულ კვირას ავტორს ნ. ბარათაშვილის სამარესთან უნდა წაეკითხნა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ეს ვერ მოხდა. რედ.



ქართველი მუსულმანი
ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე
(იხ. ქვემორე წერილი)

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ქართველ მუსულმანთა შორის ეროვნულ **გამოფხიზლების** მოციქულია. მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორს უკვდავი დარჩება... მისი საღი ჭკუა, განშორებული სარწმუნოებრივ **მიბრჯნილობას** (ფანატიზმს), ძლიერ მალე მიხვდა ქართველ მუსულმანთა ცხოვრების მწარე სინამდვილეს და ხმა-მაღლა, თამამად და მოურიდებლათ იწყო ქადაგება თავის თანამოძმეთა შორის ქართული ეროვნულ შეგნების შესახებ... და ხმა მისი არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... გამოიღო ნაყოფი.

ამ დღეებში ბ. ჰაიდარ-ბეგმა თავი დაანება მასწავლებლობას ბათომის სკოლაში და სხვა, უფრო ხელსაყრელ და დიდს, საქმეს მიჰყო ხელი... საინტერესოა ის გარემოება, რამაც მსწრაფლ იძულებულ ჰყო სამსახურისთვის თავი დაენებებია. ჰაიდარბეგი იმ აზრს ჰქადაგებს, რომ ქართველ მუსულმანებმა თვისი მუსულმანური სჯული თვის დედაენაზე, სახელდობრ **ქართულზე** ისწავლონ. საცოდავია ქართველი მუსულმანის ბავშვის მდგომარეობა: ხოჯა და მოლა მას აზეპირებინებენ ლოცვებს **არაბულ ენაზე**, მოთხრობებს მაჰმადის და სხვათა შესახებ ასწავლიან ოსმალურ ენაზე, სკოლაში სწავლობენ **ქართულს** და **რუსულ ენებს**. ოთხი ენის შესწავლა უხდება ერთსა და იმავე დროს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად მეხანიკურია და შეუგნებელი არაბულ ლოცვათა შესწავლა. აქ არ არსებობს არავითარი მეთოდი, არავითარი პედაგოგიური ცდა..

ჰაიდარ-ბეგი კი იმას ამბობდა, რომ ქართველმა მუსულმანმა სჯული, ლოცვებს გარდა, ქართულად ისწავლოს; ხოჯაც ქართული ენის მცოდნე იყოს და უქადაგოს მრევლს **ქართულ ენაზე** და არა ოსმალურზე, როგორც ეს სჩვევიათ დღევანდელ ხოჯების უმეტესობას. ხოჯა უნდა იყოს ამ სახით ქართულ ენის გამავრცელებელი და არა მისი მტერი. მეჩეთში უნდა გაისმოდეს **ქადაგება ქართული**... ქართული ენა, არა თუ დაბლა სდგას ოსმალურზე, არამედ მაზე მდიდარიცაა თავის ლიტერატურით...

ეს თავის აზრი მან გამოსთქვა ამას წინად გორაში ხოჯათა კრებაზე. ვიღაცამ ინება მისი დაბეზღება მთავრობასთან, რომელმაც ბ. ჰაიდარ ბეგს საყვედური გამოუცხადა.. ამის მეოხებით ჰაიდარ-ბეგმა სამსახურს თავი დაანება... მაგრამ ეს არაფერია...

მის მიერ გამოთქმული და დასაბუთებული აზრი—მუსულმანურ სჯულის სწავლების და ქადაგების წარმოების შესახებ **ქართულ ენაზე** ფესვებს გაიდგავს, დიდ ხედ იქცევა და ნაყოფს გამოიღებს. რამდენიმე ხოჯა და მოლა გულწრფელი მომხრეა ბ-ნი ჰაიდარბეგის აზრისა.

შენი **ჩაქუჩი**.

სასაფლაოზე

ყველა საფლავის ქვის ქვეშ—
მარხია მთელი ქვეყნიერება

ჰეინე

სასაფლაოზე მოვსწყვიტე ვარდი,
მოვსწყვიტე, მოვკალ, ვუმღერე ნანა
მოვკალ, რამე თუ მის ქვეშ მარხია
მთელი სამყარო, მთელი ქვეყანა.
დავსწყევლე ლოდი, რომელზეც ვზივარ,
ვზივარ და ვაფრქვევ ცრემლებს მდუღარეს,
დავსწყევლე, რადგან ის გაიჭედა
ნგრევისა ჟამსა, ჟამსა მწუხარეს...
— რათ უნდა ვარდი სულს დამონებულს
რათ უნდა ლოდი ფარავდეს მკვდარსა,—
რათ დასცინიან ყოფნისა აჩრ ილს,
რათ დასცინიან იმედს დამჭკნარსა!..
და მე მოვსწყვიტე ვარდი საფლავზე,
მოვსწყვიტე, მოვკალ, ვუმღერე ნანა,—
მოვკალ, რამეთუ მის ქვეშ მარხია
მთელი სამყარო, მთელი ქვეყანა!...

ტალღა

განათლების მოღვაწე

გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი

(45 წ. სამწერლო-სამასწავლებ. მოღვაწეობის გამო).

ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე გასულ საუკუნეს ისეთ პირობებში ჩასწურთეს, რომ თამამად ითქმის: ხალხში სინათლის მაგიერ სიბნელე შედიოდა, ჭეშმარიტ მოქალაქე და ხალხისთვის მზრუნველთა ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში, გადაგვარებული, აკაკის სიტყვით რომ ვსთქვათ: „გამოსუქინსინებული“ თაობა გვეზრდებოდა... და ასეთ გაუკუღმართებულ მიმართულების განმტკიცებას უმ ღლესი სასკოლო მმართველობა, ხშირად, თვით ქართლოსიანთა შვილების დახმარებით ცდილობდა...

ერს სწყუროდა **სამშობლო** ენაზე სწავლა, **სამშობლო** ენით **გაადამიანება**, **სამშობლო** მწერლობისა და ისტორიის შეგნება, ამის ნებას კი არ აძლევდენ,—პურის ნაცვლად ქვას აწოდებდენ, განათლების უკვდავების წყაროს ნაცვლად შხამსასმევდენ..

და ასეთი მიმართულების ნაყოფს ხომ დღესაც ვიმკით:

დიპლომიანი და უვიცი, ხორცეულად შემკული, სულიერად დახშული,—ისე ხშირად ვის „ამშვენებს“, თუ არა ჩვენ?!

მაგრამ ამ მძიმე ხანშიაც იყვნენ ზოგიერთი ისეთი ქართველი მასწავლებელნი, რომელნიც მშობელი ერის წინაშე თვისს მოვალეობას არ ივიწყებდენ და ქართველ მოზარდ თაობას სამშობლო ენას და მწერლობას ხშირად „შეპარვით“, ასე ვ'თქვათ, კონტრაბანდათ აზიარებდენ.

ერთი ასეთი ცნობიერი ქართველი მასწავლებელთაგანია გ. ნ. იოსელიანი.

გ. იოსელიანი დაიბადა ს. წყალტუბოს, ქუთაისის გუბ, 1847 წ. მამა მისი ნიკოლოზი იმერეთის უბრალო მშრომელი აზნაურთაგანი იყო, რომელმაც თვისი გიორგი ქუთაისის სასულ. სასწავლებელში მიაბარა. აქ სწავლის დამთავრების შემდეგ, გიორგი ბეჯითი სწავლა-მეცადინეობის წყალობით გადმოიყვანეს თბ. სასულ. სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მთავრობის ხარჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასკოვის სასულ. აკადემიაში გაიგზავნა, სა-
�ელ 1871 წ. დამთავრა კურსი კანდიდატის
ტრისხით და მაშინვე, უწ. სინოდის განკარგუ-
ებით, თბ. სასულ. სემინარიის მასწავლებლად
გამწესდა. (მუნ რავდენსამ ხანს ინსპექტორ-
ბდა კიდეც) 1873 წ. მიიწვიეს ახალად დაარ-
სებულ საოსტატო ინსტიტუტში, სადაც 16 წ.
დარჩა. აქ უფროსთან ეროვნულ ნიადაგზე
(მეგრელთა საკითხის გამო) კამათი მოუხდა:
ბოლოს დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ
ინსტიტუტს თავი გაანება და ცალკე პანსიო-
ნი დაიფუძნა, მაგრამ მალე მიიწვიეს თბ. სათ.-
ახ. სასწავლებელში; ამავე დროს პირველ
გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას, უკა-
ნასკნელ ხანებში მიიწვიეს ხაშურის გიმნა-
ზიაში.

მასწავლებლობის გარდა, გიორგი მონა-
წილეობდა ქართულ საგანმანათლებლო საზო-
გადო დაწესებულებებში, თანამშრომლობდა
ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და თავის წე
რილებით თანამემამულეთ ყოველივის ეროვ-
ნულ-საზოგადოებრივ გრძნობებს უღვიძებდა;
შეადგინა სახელმძღვანელობანი („ბოკლე ლო-
ლიკა", „სადვთო ისტორია", „ლოცვანი",
„საქართველოს ეკლესიის წმიდანები", „ყმა-
წვილების მოვლა-აღზრდა"), მოზრდილთათვის
გადმოაკეთა „ვეფხის ტყაოსანი", რუსული-
დან სთარგმნა „ბერინიკე კუდა მელა" და სხ.

როგორც საუკეთესო მასწავლებელმა და
ნამდვილმა მამულიშვილმა ძლიერ ბევრს ახალ-
გაზდას გაუღვია გულში სამშობლოს სიყვა-
რული და ხალხის სამსახურის ხალისი.

მისი ნამოწფფარის, აწ დამსახურებულ
მასწავლებლის ალ. მირიანაშვილის სიტყვით,
„გიორგის ადასებულ ეგვალ მოწაფენი კასურ-
ნეველად ერიგვენებისა; მაგრამ ქართველების სა-
ეგურეველი, რასაკვირველია, სეკარბობდა, რადგან
ეგინი მასში ჭეშმარიტ კასსაკეთორებულ მფარ-
ველს, დამრიგებელს და ერიგენულ ადგილების
მატარებელს და მეცნიერებელსა.

დიდიაც, რომ ასეთი აღზრდილ მასწავ-
ლებელი დიდი პატივისცემის ღირსია და ერიც
მუდამ მადლობით მოიხსენიებს. ვუსურვებთ
მას დიდგრძელობას ხოლო ჩვენს ქვეყანას მის-
თანა მრავალ მასწავლებელს.

იოსებ ბერიძეიელი.

იძულებულნი

დასასრული იხ. „თ. და ც." № 38-46

2 **მღვდელი.** ბბა, მივიდე ენაბოო, მსუქანი
თევზებია, რომელიც ამ ქალად ჩვენს ბადეს
მოეფო, თუ არა? ეს ვინ? შენა ხარ, დონ-
ენრიკოს? შენ „მდიდარი ღვთისნიერი", რო-
მელმაც სანაქებო სახელი განითქვა მთელ ქვე-
ყანაზე შენი გულ უხვობით და ურიცხვი შე-
წირულობით, უხვად რომ მოგქონდა ჩვენი
სალოცავებისა და ინკვიზიციისთვის. რასა იქ,
ჩემო ძვირფასო ენრიკოს? უსათუოდ შემთხვე-
ვით მოხვდებოდი აქ... კურთხეულმც იყოს
ის შემთხვევა! ხა-ხა-ხა (იცინის)

სხვა მღვდლები. (იცინიან. ებრაელები არ
აქცევენ ყურადღებას და განაგრძობენ დოცვას).

2 **მღვდელი.** ეს ვიღაა? დონ-ლაპეს!?
შენც აქა ხარ? ალბათ სახელმწიფო დარბაზ-
ში საქმე ალარ იქმნებოდა, რომ დრო გი-
ხელთნია და აქ მოსულხარ! ძალიან მოხარული
ვარ! მაშინ რა მეშველებოდა, სიფრთხილის-
თვის რომ თავი არ დაგენებებინა, შენს ად-
გილას მეჯინიყავ და სამოქალაქო საქმეებში
ყოფილიყავ გართული როგორც ნამდვილი
ქრისტიანი?..,

მრავალნი მღვდელნი. ხა—ხა—ხა!

2 **მღვდელი.** აბა, შენც აქა ბრძანდები,
დონ-მენდეს? შენ ხომ საიდუმლო ჯაშუში
ხარ, რომელიც ერთგულად ემსახურები ინკვი-
ზიციას! იქნებ იმიტომ მოხვედი, რომ ებრაე-
ლები აღმოგეჩინა და ინკვიზიციისათვის გა-
დაგეცა! თუმც მართალია ალრე ვერ მოხველ,
ჩვენ მოგასწარით! მაგრამ არა უშავს რა: ჩვენ
მოვიგონებთ შენს კეთილ სამსახურსა და მო-
გიზღავთ ისე, როგორც ეკუთვნის შენისთანა
კაცს. ხვალვე დარწმუნდები ჩემი სიტყვების
სიმართლეში!

რამდენიმე მღვდელი. (კაცებიარხარხარე-
ბენ და ხითხითებენ), ხა—ხა—ხა! ხა—ხა—ხა!
ხე—ხე—ხე! (შემდეგ შეგეგურებენ ებრაელების და
დასტინიან, ებრაელები ყურადღებას არ აქცევენ
და განაგრძობენ დოცვას).

დონ როდერიგო (სდგას კამოქალაბედის
ერთ-ერთ კუთხეში, ირგვლივ ეხვევიან ებრაელე-
ნი კეთილკენი და მღვდელნი, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამბობს): ეს ჩემი შვილი (ეჩვენებს ენრიკოზს, რომელიც გვერდით უდგას) დამეგობრებული იყო დონ-ალონსოს შვილებთან. ჩემს გულში არავითარი ეჭვი არ ბუდობდა, თუ ალონსო ურია იყო... რითი გაიგებ? ამ ნაირად ჩემი შვილი დამეგობრებული იყო მის შვილებთან. დღეს, ეს ჩემი შვილი, მოვიდა და მიამბო: ალონსოს შვილებმა მითხრეს, ჩვენი მშობლები დღესასწაულობენ, ვინაიდან დიეგოს ცამეტი წელიწადი შეესრულდაო. უნდა უფეშქაშონ მრავალნაირი საჩუქრები, გაუბილონ დიდი და საოცარი საქმეებიო, — და ყველა ეს შეალამისას, ღამის თორმეტ საათზე. ამის გაგებაზე გულში ეჭვი შემეპარა. პირველი: რატომ მეც არ ვიყავ მიწვეული ნადიმზე? დღემდე ხომ ძალიან მეგობარნი და მახლობელნი ვიყავით ერთმანეთისა. და მეორეც ესა: ღამე, ამისთანა უდროო დრო რათ ამოურჩევიათ მეთქი? დაუწყე ჩემ შვილს გამოკითხვა, და რამდენიმე კითხვის შემდეგ, ბოლოს მიამბო, რომ გამოქვაბულში ყოფილიყო ალონსოს სახლ ქვეშ, და იქ ენახა რამდენიმე უცხო საგანი. როცა დამიხატა ყველა ის საგნები, მაშინვე მივხვდი, რომ დონ-ალონსო ურია ყოფილა. მსწრაფლ გავექანე ინკვიზიციის სამმართველოში და უამბე ყველა რაც კი გავიგე ჩემი შვილისგან. აი, ასე, ამნაირად კი აღმოჩნდა ამ ურწმუნოთა კვალი. თუ არ ეს შემთხვეოდა, — ვინ იცის როდის გამხილდებოდა ეს საშინელი საქმე!? განა ახლა კაცს შეუძლია გაიგოს ვინ არის ურია და ვინ არა? თავის დღეში ვერ მიეტანდი დონ-ალონსოზე ეჭვს. მაგრამ ახლა, როგორცა სჩანს, ყველა კაცს იქვის თვალით უნდა უყურებდე, ახლა თვით ჩემ საუკეთესო მეგობართაც კი ადარ ვენდობი! ვინ დამეხაძლავება, რომ ისინიც ებრაელნი არ იყვნენ? (ამ მხრით მდგდელთ დაცინვა და ამ მხრით ებრაელთა დიდი თანდასმა მიტუდობს)

მღვდელმთავარი. (ანიშნებს ჯარის კაცთ, რომელთაც მოაქვთ ბორკილები ხსნა-ჩხურით და სძრავენ შიშს და ძრწოლას. ჯარის კაცნი მზად არიან ებრაელთა შესაბორკავად და ელიან მთავარი მღვდლის ბრძანებას).

ენრიკო. (რომელიც აქამდინ მამას ეჭირა ხელიდან და არ აძლევდა ნებას ადგილიდან დაძრულიყო, ახრჩობს და უსაზღვრებ მამას ხელიდან, გაიქცევა ებრაელთა მხარეს და მიდის დიეგოს და კლარასთან, რომელიც დგანან და ესენიც დიდუდობენ, ენრიკო ეწევა სახელოებიო და ეუბნება) დიეგო! კლარა! გამიგონეთ მე ვაკთხე მამას, მამი ჩემმა მითხრა, რომ მართალია რაც ჩვენ მოახლეს უთქვამსო: ებრაელები საშინელი ჯადოქრები არიან! თქვენი მშობლებიც ებრაელები ყოფილან და საშინელი ჯადოქრები, მაგრამ თქვენ კი ჯერ არა ხართ ებრაელები, ვინაიდან ჯერ პატარები ხართ და კვალად შეგიძლიანთ გახდეთ ჩვენსავით კათოლიკენი. დიეგო! კლარა! გამიგონეთ! წამოდით, მოვკურცხლოთ აქედან, გაშორდით ამ წყეულ უწმინდურ ურიებს.

დიეგო. (მოიხედავს ენრიკოსკენ ამაოდ და დაცინვით, ეუბნება მაღალითა და მძაღარის ხმით, რომელიც მთად კამოქვაბულში ისმის) მომშორდი თავიდან, შვილო ავაზაკ და ცოდვილ ერისაო! ამაღამიდან აღარა ვარ შენი ამხანაგი! მომშორდი თავიდან საძაგელო! სირცხვილი შენთვის! მთელი შენი სიტყვები სულ სიცრუეა! სულ სიცრუეს ამბობთ, შენც, მამა შენიც, თქვენი მოახლეც და ყველა ის ხალხიც. რომელიც თქვენა გგავთ! მე კი — მე ებრაელი ვარ, და არ მსურს, არ მინდა თქვენისთანა ვიყო! მე ებრაელი ვარ და ებრაელად მოვკვდები! ებრაელი ვარ ღა ამით თავი მოვაქვს! (ეფეფდა იქ მეოფნი შეჭეურებენ ამას. დონ-ამანდეკელ სახე გაუბრწყინდება ნეტარებით. მღვდლები და კათოლიკენი შეჭეურებენ კოცეცბით. ერთ წუთს დრმა დუმილი დამყარდება. მთ შორის, თითქოს დიეგოს ძალეგმოსილმა ხმამ ეგვალ ჭეუზე შეარეთა. რამდენიმე წუთს დაბნეულნი სდგანან).

დონ-როდერიგო (ანდეეეეს მღვეარებს, ნახეეარ ხმით) გესმით? ასეთი პატარა ყმაწვილი და ეს სიტყვები! საოცარია! საოცარი!

მღვდელმთავარი. (ანიშნებს ჯარის კაცთ) დაადეთ ბორკილები! (ჯარის კაცნი მიდიან ებრაელებთან ბორკილების ხსნა-ჩხურით).

დონ-იმანუელ. (დამშეიდებულის ხმით) ჩემო ძვირფასო ძმანო! განმიტაცეთ გულნი თქვენნი! ელოდეთ უფალს და ესავდეთ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის გაცხოვნებთ! უკანასკნელ წუთამდე ელოდეთ მის შემწეობას—და მოგვევლინებათ! (რკინის ბორკილები ჩხარა-ჩურებენ, მოელვარე ამოწვდიდა მახვილები წვრილდებენ, ებრაელები ეკრებენ ძალს და უმატებენ დოდვას)

ფ ა რ დ ა.

ნ. ელიაშვილი ბენ—დავიდ.

საუკუნის თავი

ნ. ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავის, აღსანიშნავად ქართ. სიტ. კაზმ. საზ-ის თაოსნობით ორშაბათს, გიორგობისთვის 21, დიდუბეში, მგოსნის სამარესთან გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის დაწყებამდე ანტონ ეპისკოპოსმა მშვენიერი შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთა ქართ. სი.-საზ სახის მდივანმა არ. ჭუმბაძემ. მოლაპარაკემ ბევრი მწარე სინამდვილე აღნიშნა. ასეთი პოეტური, მშევრ-მეტყველური, ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების ცოდნით აღსავსე და გულ-წრფელი სიტყვა ეშვიათად გვსმენია. შემდეგ ილაპარაკა ივ. რატიშვილმა... მგოსნის სამარე ცოცხალ ვარდ-ყვავილებით იყო

-ული. დაესწრო აუარებელი საზოგადოება. გალავანში იყიდებოდა მგოსნის ხელთნაწერი—ავტოგრაფი „ბედი ქართლისა". საღამოთი იმავე საზ-ბის სხდომა გაიმართა საშეურნეო ბანკის დარბაზში მგოსნის ხსოვნის აღსანიშნავად. სხდომას დიდძალი ხალხი მოაწყდა. საზ-ის თავმჯდომარემ ბ. გრ. რცხილაძემ მოკლე სიტყვით აღნიშნა ნ. ბარათაშვილის მნიშვნელობა და დამსწრეთ სთხოვა მგოსნის ხსოვნისთვის ფეხზე ადგომით პატივი ეცათ. გ. ქიქოძემ წაიკითხა მოხსენება. შემდეგ ს. ფაშალიშვილმა, ნ. ერისთავმა და ა. ჭუმბაძემ წაიკითხეს თითო ლექსი ბარათაშვილისა. სხდომა მეათე საათზედ დაიხურა.

ყველა ჭარძნობდა, რომ ეს დღე მგოსნის სახელის შესაფერად ვერ აღინიშნა: ვერ მოასწრეს მის თხზულებათა გამოცემა, რომელიც თავს იდვა ან. ეკ. მიხ. ერისთავისამ, არც სადამო მოეწყო, არც სახ-ლხო გამოცემანი იყო. ქართულმა პრესამ, შედარებით, უკეთ აღნიშნა ეს დღე: „სახალხო ფურცელმა" „საქართველო"-მ, ქუთაისურმა „სამშობლო"-მ, თითქმის მთელი ნომრები უძღვნეს, „თან. აზრმა" ვრცელი წერილი, „თეატრი და ცხოვრებამ" საგანგებო ნომერი.

ვიღაცამ სთქვა, ნ. ბარათაშვილი ჩვენდა სამწუხაროდ, რუსის კანცელარიაში გარდაიცვალა ამ 70 წლის წინადო. სამწუხარო მარტო ეს კი არ არის, არამედ ისიც, რომ მისი დაბადების ასის წლის თავი სადღაც კანცელარიაში გადავიხადეთ!

სირცხვილი!

ვეცადნეთ, ეს შეცდომა ახლა მაინც გამოვასწოროთ!

ი.—ელი.

† გიორგი ხირსელი

ქართველ დემოკრატიას ერთი თვალსაჩინო წევრი გამოაკლდა,—თელავში შაქრის სენით გარდაიცვალა ექიმი გ. ხირსელი.

ვისაც განვლილი განმანთავისუფლებელი მოძრაობა, განსაკუთრებით 1905—06 წწ., ახსოვს, გიორგიც მოაგონდება, როგორც ხალხის გათვითცნობიერების ერთი თავგამოდებული მებრძოლთაგანი.

იგი მწერლობაშიც მონაწილეობდა (მოსულის და სხ. სახელებით, მაგრამ უმეტეს ცნობილი იყო პრაქტიკული მოღვაწეობით.

გარემოება წაგვალ-ა გვაძლევს, მის ნამუშაკევს უფრო დაწვრილებით შევეხოთ; დადგება დრო და ქართველი გლეხკაცობა თუ მუშა ხალხი გულის ტკენით მოიგონებს ულროოდ გარდაცვლილ (35 წ. იქნებოდა) თავის ერთ თვალის ამხელთაგანს, გ. ხირსელს. მოწიწებით მადლობას შესძღვნის და მის ხსოვნას გულიდან არ გადაიყრის.

ი.—ი

არტუა სასწავლებელში

ეხლა მე რომ ღმენაზია და სემენარია არ გამითავებია, „ლრამატიკა" და „ისტორია" არ მისწავლია, ვითომ რაო, კაცი ვერ გამოვსულვარ? არა, ძმავ, შენ შნო და ენარი თქვი, თორემ რაც ენდა კაცმა წიგნი ისწავლოს, თუ მუშაობის ენარი არა აქვს, კაცი ფუტია. ამა, ერთი მითხარი, ვის უწყვია ლოსუდარსტვენი ბანკში სამი თოსი თუმანი? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თუ აი, იმ მუკელ-ცარიელ სტუდენტებს! იცით, ხელის მოწერა რომ არ მინდა ფულის გამოტანის დრო', ხუთჯერ პირჯვარი უნდა გადავიწეროო, რვაჯერ მამიჩემის სალოცავები ვახსენო, ერთი მაგრათ ოფლში ვიბანავო და მერე კი მოვაწერო „ალტო თითლიბაზოვი". ჰა, თქვენ არა თქოთ, რომ მე შკოლაში არა ეყოფილიყავ. ვიყავ, ვიყავ! როგორ არა!

ათი წლისა ვიყავ. ცხონებულ მამა ჩემ მიკიჩას ერთი ზაზალო ბზრი მოუვიდა თავში: გინდა თუ არა ჩემი ალტუა შკოლაში უნდა მივსცეო. ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვ ტირე, მაგრამ საქმე არა გაქ! მიყიდა ენიდები, ტეტრადები, რუჩკა-მელანი და მიმიყვანა „დარა კოლ" შკოლაში. მეტი ჩარა არ იყო! დავწყე რაღა, სწავლა.. ხუთი წელიწადი პირველ ადელენიაში ვიჯექ! კაცო, ეს თუთხმეტი წლის აქლემი ვხვიარ პირველ ადელენიაში და ინჩი არაფერი ვიცი, ამი „უჩიტელი" ჩიხოტკაში ჩავაგდე. მეოთხე რომ არ გამოსცვალეს, მაშინ კი ცხელი დღე დამდგა... ისე შუათანად რომ ვიანგარიშოთ, დღეში ოთხმოცდა ხუთმეტი როზგი მხვდებოდა. ვფიქრობ, გამიშვით, რაღა, რას მაწვალებთ! არაო. ის ცხონებული მამა ჩემი ამბობს: ტერაცუა რომ ნასწავლიო, ისეთი ნასწავლი უნდა გამოგიყვანოო.

ბოლოს, ერთმა „სლუჩაიმ" მიშველა...

სიცხიანი გაზაფხული იყო. მამა ჩ.მა ახალი წაღები მიყიდა. მეც ჩავიცვი წაღები და წავედი შკოლაში. სიარულში ვერაფერი გავიგე და შკოლაში რომ არ მივედი და დაჯექი, ერთი მამიკაცია, ერთი მამიკაცია წაღებმა რომ ჰ, გავთავდი კაცი! ცრემლები მომდის, რაღა.. ავდექ და სტოლის ქვეშ წაღები გავიხადე და იქვე ცალკე მივაწყე.. წინდებიც თ.ნ მივაყ ლე. ვხვიარ, ხელები ქვეშ ჩამიყვია და ოფლიან ფეხებს ვიფხანე. ერთიც ვნახოთ უჩიტელი ამბობს.

— თითლიბაზოვ, გამოდი, დასკაზე ერთი რამ დასწერე... ვაჰ! რაღა ვქნა, ფეხზეელა როგორ გავიდე. ავიღე წაღები და საჩქაროდ ვიცოდ, მაგრამ ფეხი შიგ რომ აღარ ჩადის!.. „უჩიტელიც" ძალზეე, რაღა: მოდი და მოდიო. მეტი ჩარა არ იყო! ავდეგ და ფეხშიშველა გაველ... ვაააა! ერთი სიცილი ატყდა, რომ კედლები ჩამოინგრა. „უჩიტელსა სიბრაზისგან კატაიცკი ჩეხუნჩის ფერი დადო .. ამამკრეს პანჩური და გამომაგდეს შკოლიდან... ის დღე იყო და ის, მას აქეთ შკოლაში არ შევსულვარ: ცხონებულმა მამა ჩემმაც დაინახა ბოლოს, თუ რა ნასწავლი შვილიც გამოუვიდოდა და თავის ხელობაზე დამაყენა. სალდაცკი ბაზარზე საყასპო გვქონდა, თუ გაგიგონიათ კოტლ მიკიჩას საყასპო!

გუგული.



სახალხო თეატრი. დიდი ხანი არ ყოფილა, რაც სახალხო თეატრი ადარძანდა საქართველოში. მისი ისტორია სულ ათი-სუთმეტი წლით განაზომება. სასწაული იყო თუ ერანგეულებრივი ამბავი ჩვენს მდორე ცხოვრებაში, მისი დაარსება სულ შეოთხმოცდაათიანულების ბრალია. მაგრამ გონიერობამ შეგქმნა სახალხო თეატრი და ხალხიც უყვე მეკოვისა მის.. და ასევე უნდა მომხდარიყო. სარწმუნოებას კუდაურიდი მდგომი ხალხი სახალხო თეატრმა გაბეგვარებას გაეარ. ნანა. დღეს სახალხო თეატრის საქმე თანასწორობით ბრწყინვალე ეფფერს იდგა. მისი მესვეურნი, ხალხის შიდები არა ჭკუახან დრამდასის მოსაქმაანეო, რომელთა დაუდეგრობამ ქართველი სახოგადოება წყდეულს უოპტრად დაარჩინა და თვიო თეატრაც სიმუდამ კანსაცდელში ჩაგდო.

გასულ კვირის წარმოდგენაში „მსხვერპლმა" ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა სახალხო თეატრის წინამძღოლთა ენერგია და მუეითობა. ტოტსდად, მხატვრულად ჩაიარა ბეესმ.. მონაწილენი ერომიანეთს ეტიდებოდნენ და ესე გაჭქონდათ ბეესის ფედა: კანსახიერებული საქოიო ბინი ანამეიდი. დინჯად და მეუობრად შასრულა ბიაქუდის როლი ბ-ნმა მეტრეველმა. ბ-ნი გამეორდიეე კბუა ტიპიური იყო. ვერ ეოო თვის ადგილას ბ ნი ხასანაშვილი. ამ სტენის

მოუყვრეს არა აქვს მსტყვრეული ტემპერამენტი ქნნი მეწყლდიშვილი, კოდერძი და ბინნი ჯაბაური, შინდოიშვილი და მამაჯანიანი ანსაბლს ხელს უწყობენ. ნიკი ეტიუბის ახალკაზა სტენის მოუყვრეს—ბ-ნ კობახიძეს. მასიური სტენებს, როგორც სჩანს, ჯერჯერობით ისევ ეეურადღებად სტოვებენ.

კარგი იქნება, თუ სახალხო თეატრი ეურადღებას მიაქცევს ჩვენს, მშობლიურ კერას და ხშირად გვანახვებს მის სახეს...

ალი ნორიელი

ავლაბარი და ბარფეხი,—ეს ეს ორი უბანი ობიდანის ეველა უბნებზე ჩამორჩენილი, რომელიც ბნელი მოიცვეს და ბეტრონობა ესაწერობა? ეს ორეე უბანი მაკლებელია ჩამეთხვეთის, თეატრს, სტენას და, მაშასადამე, წარმოდგენებსაც! და რა ადგრდის ხალხს, რომელსაც არ მოეთოვება არც თეატრი, არც ჩამეთხვეთ? რა ეშველება ხალხს, რომელიც მიტოვებულია „ეფრანთაგან, ბნელით მიცეული?!

არა, ეს ეეტანელია!?—და ამიტომ მოეხმობოთ ქალო ანა ისეენებულ ნაწილს—მოიკონონ თავის მოვალეობა—ხალხის დასწინაურებლად ზრუნეა! სიეჭრა: ხელიხელს მისცენ და ერთი მეორის დასმარეთ ადგილინან ადგილეთი თეატრი, ნაკლოვანენ მოეკურადღენ, რომელსაც იგი ეეაეეჩრა დაწესებულებად გაეხდეს; შეაკეთონ მეორე თეატრი, რომელიც უმეტრონოდ არის მიტოვებული...

„ეურეული ეთოს ქალა ორი ხელით იეჭ�eა“. ალა ეხნეობა, ალეაბეკე, ალამაცე, უანკარობა? ალალ ალქმის ალეურეული? ალ არაან ძეეული კალეეთის ეეეენი, ან ქონაეს კალეეთაბალ?! ნუ თუ არ ალეურთ ძალა თავი დალაწყოთ?! დროა კალმოდგიძეთანა და მოქმედებისა!!.

ს. ხ—ელი.

ბაქოში, როგორც ეიცით, ეეელს ორი დასი სწარმოეს: ერთი წ. კ ასზ. დრამატ სექციისა, მეორე—ასმხ.-ასდიტ. წრისა. ბირეველი წარმოდგენებს თვით ქალაქში ალიეთია კარტოეეე. ასზოგადოების დარბაზში ჭმართავენ,—ეორე—ასდგურის რეიონში—ასკარეტელ დარბაზში. აქაც და იქაც კეკრარეი თით წარმოდგენა ამარეთეს, ესასეხარეელ მოედენა თავის დროზე ეთო ადნიშნული ეურნალ „თ. და ტ.“ში.

ამის ნაცვლად, რომ ეს მოედენა ეეველასთვის სასიხარეელო გამხდარიეო, თავი იჩინა რა დიდ ახარებელმა გეეგებრობამ. წ. კ ასზ. დრამ. სექციამ ასმხ.-ასდიტ. წრის მეერ ასასდხო წარმოდგენების სეზონის გახსნა ეობრეთ ხელის შემშლელ ხხარკეელადაოდად გამოაცხდა.

ასხალხო წარმოდგენებს რომ ბაქოში დიდი ნაალგი აქვს, ეს აშკარა შეექმნა,—შესაფერი ეულტორის ეეგვე ჩამოალდიდა, ბიესები იდგმება თანანეელრეეე, წარმოდგენებს ასალხი ეოველთვის ბდომად ესწრება. თვით სტენის მოუყვრებში განეწყობილება ჩინებულია, სტენის კარეშეო თავი მოიეარა ტოტალმა ედეშენტებმა და რითაც შეეძლიან, თავგამოდგენთ, საერთო სიქმეში თავისი წვლილი შეაქვს; ეეველა იშეალთის სალისოთ და საეეკრეელთ შეშაობს. რეგორც ასკეეთარ ოკასხეა, თვით წარმოდგენები, როგორც ასრეულების ისე მსტყვრეული მხრიე რეკისორ ვ. ალრაბაძის სასიხეელოთ ეენდა ითქვას, რომ თანდათან უმჯობესდება.

წ კ. ბ. ასზ. დრამატეული სექციის სეზონიც კარგად მიდის. კომიტეტში მოწეეული ალალ ტონობები მრეწველნი ბ ბ ხოშტარია, ჯაეეული და ამიერეკაძი, რომლებიც მსტერალდურად დიდ დახმარებას უწეეენ თეატრს სტენაზე კასაეეჩვენებელ ადგილებ, მოწეეულია ორი რეკისორი: ბ.ბ. შ. დადიანი და ა. ეეეეენაეა (ეკანანსკენელი ამ ბიდო დრაა ჩამოეიდა. მისი რეკისორობით იდგმება „ბედგეკეები“) და ოთხი ბრიეეეესიონალური მსახიობი. სეზონის კახსნიდან აკერ მეხეთე წარმოდგენა მიდის. ეოველ წარმოდგენას ასზოგადოება ბდომად ესწრება ზოგჯერ აეანებეელ; ბიესები რეგიანად იდგმება, თუმცა რეეერტუარი ეეველ დაგეეულ ბიესებისა ეერეელა. საერთოდ ამ წრის სამქეე კარგად მიდის.

გულისხმა

ასდ. ეუფხასა (ეეთია), ქართველთა ასახარეულოდ და ადგილობრივ მცხოვრებთა საამაყოდ, ემატება ერთი ფრიად სიმპატიური დაწესებულება—ხელოვნების ლმამარი თეატრი, რომლის უმთავრეი ინიციატორი, ბაძარეკელის ჩამყრელი ბრძანდება კნეინა მ. ნაკაშიძისა. ეს ფრიად ასაინამენო მოელენა ესლეიერად ეგამაღლებს და ამაყად შეგვიძლია ეთქვათ, რომ ჩვენს მეზობლებს ეკნებაათ ასულიერი მასაზ-ლოდებელი ხელოვნების ტაძარი. ამ მიზნის განსახორციელებლად კვირას, 30 ოკტომბერს, ადგილობრივ საკალებო სკოლის შენობაში ხარაზიშვილის რეეისობით და დამასხურებელ სკენის მოეკურის ნუცა ნარაკიძის მო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილობით დადგმულ იქმნა პ. ირეთლის „ქრისტინე“. საუცხოოდ შეასრულეს ქ-ნმა თოთიბაძისამ მარია, მასწ. კე-ძეგ დათია ნ. ნარაკიძემ ქრისტინე.— (ეოტა კილო არ ჰქონდა შესაფერი. მიიღო დამსწრე საზოგადოების ან ცოცხალი ყვავილების თაიგული). ერ. ჩხაიძემ (ისაონი), სეფერა ანთაძემ (სონა); ორა უშავდა-რა სხვებსაც. დარბაზი ბალს ვერ იტევდა, აიკანზე ბევდა იყო. დამსწრენი ნასიამოვნები დაიშალნენ. დიდი მადლობის ღირსნი არიან როგორც კნ. მ. ნაკაშიძისა, ისე მასწ. ბაბილინა გურგენაძე (რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქმის მოწყობაში), მასწ. ლიდა მინაევა, ეკე. ნაკაიძე და სხ., რომელ-ებიც ბელი შეუწყვეს ამ სიმპატიურ საქმეს. უსურვებთ ყოველივე დაბრკოლება გ. დაელახოთ და საქმე სასურველ დ დაეგვირგვინებინოთ. საბირობა ასეთ საქმეში სოფლის მეშ. ხალხიც მონაწილეობდეს. სამწუხაროდ ამ საქმის მოწყობაში აქაურ მცირე ინტელიგენციას არც ერთი სოფელი გვერდში არ ედგა.

ეს დაბა სხვა კულტურულ დაწესებულებებთაც შემკულია, მაგ. აქ დაარსებულია პირველ-დაწყებითი უმაღ. სასწავლებელი, სავაჭო და საქალაბო სკოლები, კოოპერატივი, სამკითხველო და სხ. უსურვებთ ადგილობრივ მცხოვრებთ უფრო მეტი ფხის და უნარის გამოჩენას.

პ. ლ-ელი.

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ **ᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲣᲐᲦᲔᲠᲘᲡᲐᲡ** „ახალ კლუბში“ ქართ დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება კ. მეხსის „თამარ ბატონიშვილი“ დ საწყისი 12 ს.

Ნ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲐ ქ რთ. სიტყვა-კაზ. ხაზ-ის თოთსნობით აიმართება მომავალ კვირას, ქრისტეშობისთვის 4 ახალ კლუბში.

◆ **ᲡᲝᲤᲔᲮᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ** ლ. შანთი თბილისს ჩამოვიდა თვისი ხალ პიესის „კეფირის“ წარმოდგენის სახელმძღვანელოდ.

◆ **ᲙᲚᲘᲛᲒ Კ. ᲤᲝᲪᲔᲮᲕᲠᲐᲖᲘᲚᲘᲡᲐ** დასწერა ახალი ოპერა „გინნაზიელის სიზმრები“. ოპერა წარმოსადგენად ნება-დართულია და ამ მოკლე ხანში ბაკოს სცენაზე წარმოადგენენ.

◆ **ᲑᲐᲫᲘᲡ ᲓᲠᲐᲛ. ᲬᲠᲘᲚᲘ**, წრის თავმჯდ. ა. ბოზუტარიას თანხმობით, გადასწყვეტა ახალი ისტორიული ტანსამოსები შეაკერინოს. შესაფერ ესკიზებს ანგებოდ ანატვრნენენ.

◆ **ᲠᲔᲟ. Ა. ᲬᲣᲠᲬᲣᲚᲐᲕᲐ** ბაკოს დრამ. წ-ემ რეჟისორად მიიწვია;

◆ **Ბ. ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲚᲘ** თელავში, როგორც პროვინციის მუყაითი მოღვაწე. შესაფერი პატივით დაკრძალეს გიორგობ. 20 თელავის სასაფლაოს განსაკუთრებულ (პროვინციელ მოღვაწეთათვის არჩეულ) ადგილზე. ითქვა სიტყვები კუბის 12-დ ვვირგვინი ამკობდა.

◆ **ᲑᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖ-ᲘᲡ** წევრთა წლიური კრება გაიმართება დღეს საკუთარ სკოლაში (სვიატოპოლ მირსკის ქ. № 6)

◆ „განათლების“ სკოლის ს.სარგებლოდ ქრისტეშობისთვის 22 „არტ. საზ.“ თეატრში წარმოდგენას მართავს.

◆ მოხ. ა. ივანიძემ დასწერა ახალი ისტ. პიესა „ქართველები“, ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან.

◆ აღ. ყიფშიძის ხსოვნის აღსანიშნავად გამოიცემა მისი დაუსტამბავი ნაწარმოებნი.

◆ პოლონელთა მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის სულის მოსახსენებლად, ქართ. გაზეთ. („სახ, ფუტ.“ „სკ.“) რედაქციების თაოსნობით გასულ კვრას ქართველკეთა ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდ ს დ წყებამდე ქართ. კათოლიკეთა მოძღვარმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. დაესწრენ ქართულ მწერლობის, თეატრის, საკულტურო-საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები და მრავალი საზოგადოებ.

◆ ემილ ვერჰაარნი, ბელგიის სახელგ ნოქმელი მწერალი, მუშათა მგოსანად აღიარებული, პარიზში ლექციის წაკითხვის შემდეგ გამგზავრებისას მატარებელზე შეტაკება დრო, მატარებელს ქვეშ მოჰყვა და გარდაიცვალა

◆ ქართული ეროვნული თეატრის აშენების შესახებ. თბილისსა და ქუთაისში, ბ-ნი ს. ქვარიანს გაზ. „საქართველოში“ (№ 251) ვ ცელი წერილი აქვს. მარტვალ-რა ქართული თეატრის დიდ მნიშვნელობას. გვარჩევს, რ ოგორც არა ერთხელ ჩვენც მოგვიწოდნია, ფულის შეკრებას ანლავე შეუდგეთ, „რადგან ამ ქამად ფული ბევრია და თეატრის მგზაბრის რ ოვის თანაზმად, იოფ ფასიანი ლატარია გაემართოთ ოთხ მილიონ მან თბილისს და ქუთაისში თეატრების ასაგებათო.

ამ ერიკელი მწერალი ჯეკ-ლონდონი გარდაიცვალა კლერნ-ელენაში, კალიფორნიის შტატში. სიკვდილ ბუკში ბევრი გაჭირვება გამოიარა, მწერლობა დაიწყო 19 წლისამ და თვისი ოპტიმიზმით და სიმხნეეთ გადალენილი მოთხრობებით სპპატიო ახელი მოიპოვა. დაბადებიდან 40 წ. იყო.

◆ **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲐ** ჩვენმა ნიჭიერმა მოსიაზრ-დრამატურგმა ვალ. შ ლ კაშვილმა: ერთი სოფლიდ ცხოვრებიდან, მეორე სტუდენტებს. თუ რა მეგიზეზმა ხელი არ შეუშ ლა, ავტორი ამ პიესებს მდგომარე ზამთარში დიმუშავებს.

◆ **Ვ. ᲕᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ბათომის ჰავა მოუხდ ა. თუ სახსარმ ხელი შეუწყო, სრული იმედია მისი გამომთვლებ ია. მსახიობმა გადაკეთა თვისი პიესის „უნიადაგონ“-ს სამ მოკმედებ პიესა ამ სეზონისთვის მოამზადდება. როგორც გადმოგვცეს, ფრიად საყურადღებო ხატება გამოდის ბიტა.

◆ **ᲘᲡᲮ. Თ. ᲨᲣᲚᲫᲠᲐᲕᲐᲜᲘᲡ** ორმოცი პანაშვიდი ადახდილ იქმნება ოთხშაბათს, გიორგობისთვის 30, დიდუბეში მიცვალებულის სამარეზე.

◆ **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲗᲐ-ᲮᲐᲚᲘᲢ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ** „საფერონ“, ლეონიძის თაოსნობით და ცნობილ მწერალ-კრიტიკოსთა მონაწილეობით გაიმართ გიორგობისთვის დაწლვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეატრი და ცხოვრების“

მომავალ 1917 წლის მნოლოდ წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ორს** პრემიას: აკაკის „ნაკვესებსა და ბრძნულ სიტყვებს-ა“ და 2, ჭოლა ლომთათიძის „რჩეულ ანეკდოტ“-ს. ორივე წიგნს დაერთვის ავტოროთა სურათები, ბიოგრაფიები და ფაქსიმილეები. ჟურნალში ჩვეულებრივ ი ანამშრომლებს ივ. გომართელი, მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო დამსახურებული და ახალგაზრდა მგოსნები, მწერლები, კრიტიკოსები. ჟურნალი ქალაქდის სიმერის დამო წლიურად 7 მ. და 50 კ. თ ილისში ფული მიიღება სოროპანინ“ სტამბის კანტორაში ოსსებ იმედაშვილთან. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ

ბ. ხ.

ბატონო რედაქტორო! ქალაქდის სიძე რის გამო გასცლეგთ ხეთ ხანეთს თქვენი პატივცემული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ ფ ონდისთვის პატივს ცემით **სოფოკლეს კეკვალიშვილი** გიორგობ. 6 სად. კატელნიკოვო.

გარდა ამი ა.მივიღეთ:

ნილ. გაბუნიასგან (თბილისი) 5 მან.

ეფიმ ნახუჩრიშვილისგან (გუმბრიდან)—5 მან.

პრაპორщ. მამულაშვილისგან (მომქმედი ლაშქარი)—5 მან.

პრაპორщ. გაბისონიასგან (მომქმედი ლაშქარი)—3 მან.

ყველა ზემოხსენებულ პირთ უგულითადესს მადლობას ვეძღვნით. რედ.

ახალი კლუბი 1 კვირის პრობა 27 გ.ორ-4 ქრის.

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთეთ 50-30 კ.

ოკრშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი.

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი.

ხუთშაბ — ბართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.

შაბ. — სიმფონიური ორკესტრი კონცერტ. მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.

კვირა — რუსული წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა სადამ. 9 საათ.

წარმოდგენისა და სინემატოგრ. სად. $8^1/_2$ საათ.

შესასვლელი ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცნი—1-მან.

ხარფუხს საზოგადო **კლუბ**

(მიხეილის პროსპექტი, № 163)

ოკრშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმ სიმ. ორკესტ.

პარასკევი — სიმებიანი ორკ. წარმოდგენა

შაბათი — სიმებიანი ორკესტრი.

კვირა — სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.

„სოფრასინის“ გამოცემა.

1917

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოში

ვედელი პაპუნდარი

შედგ. მ. გაზრიოლის და გრ. სტ. ჩარეულისა

ფასი 70 კაპ.

სახალხო კალენდარი

შედგენილი მ. გაზრიოლის მიერ.

ფასი 30 კაპ.

„პარტიონ“ მეფიდელებს შეფერილ ფიბერთონ: Типографія „сорапиръ“ М. Гинчилазе და Компанія. წიგნი ალიენენის ბეჭდველებულ საფერდელებით ფაქტიდან „ბანაბერტიდან ბანაბერტამდე“-ს გამოქვეყნებულ კალენდარიან, ჩვენ გამოვეცემს არიფერი საფერთო არც ჭერნი, არც ბეჭდ და არც ენები.

გაფრთხილება. ჩვენი ალიენენის ბეჭდველებულ საფერდელებით ფაქტიდან „ბანაბერტიდან ბანაბერტამდე“-ს გამოქვეყნებულ კალენდარიან, ჩვენ გამოვეცემს არიფერი საფერთო არც ჭერნი, არც ბეჭდ და არც ენები.

ქუთაისში
ქარხანაში
ბ. ოსიპ ბ. ბ. ბ.
ბ. ოსიპ ბ. ბ. ბ.
ბ. ოსიპ ბ. ბ. ბ.